ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო

საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 25

25 ივლისი 2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახური - ლევან მიქავა.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა.

2. კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, ირაკლი ნადირაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე კომისების წევრებს და გააცნო დღის წესრიგი.

1. *საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები: (№11-01181903768 10.07.2018; №11-01181992417 18.07.2018) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებსა და ქვეპროგრამებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ.*

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

მოისმინეს ლევან მიქავას ინფორმაცია სხვადასხვა გამგეობებისა და ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მათთვის მიკუთვნებულ პროგრამებას/ქვეპროგრამებში ასიგნებების გადანაწილებთან დაკავშირებით. მისი განმარტებით ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური ითხოვს „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში“ ქვეპროგრამის მე-2 კვარტლის ბიუჯეტის გაზრდას 95 950 ლარით, ამავე ქვეპროგრამის მე-4 კვარტლის ბიუჯეტის შემცირების ხარჯზე. ასევე „უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში“ და უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში“ ქვეპროგრამების მე-2 კვარტლის ბიუჯეტის გაზრდას მე-4 კვარტლის ბიუჯეტის შემცირების ხარჯზე 61 245 და 67 056 ლარით. ასევე აღნიშნა რომ აღნიშნული ცვლილებების დამბალანსებელი თანხა საქალაქო სამსახურის ბიუჯეტის ფარგლებში არ მოიძებნა და ამიტომ რესურსი მოძიებულ იქნა მუნიციპალური ბიუჯეტის სხვა

რესურსებიდან. ისნის რაიონის გამგეობა ითხოვს „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებების“ ქვეპროგრამის მე-3 კვარტლის ბიუჯეტიდან 22 000 ლარის გადმოტანას მე-2 კვარტალში. გლდანის რაიონის გამგეობა ითხოვს „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებების“ ქვეპროგრამის მე-2 კვარტლის ასიგნებების გაზრდას 100 000 ლარით. დაბალანსება განხორციელდება „გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში“ (კოდი 01 01 08) და „გლდანის რაიონის გამგეობის“ (კოდი 10 27) ქვეპროგრამების მე-2 კვარტლის ასიგნებების შემცირების ხარჯზე. ანალოგიური მოთხოვნა აქვს საბურთალოს,დიდუბის, ჩუღურეთის, ვაკის და სამგორის რაიონის გამგეობებს. აღნიშნული რაიონის გამგეობები ითხოვენ „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიების“ ქვეპროგრამისთვის მე-2 კვარტალში გამოყოფილი ასიგნებების გაზრდას, რომლებიც დაბალანსდება სხვადასხვა პროგრამა/ქვეპროგრამებში არსებული რესურსის ხარჯზე. ასევე ლევან მიქავამ წარმოადგინა ისნის რაიონის გამგეობის მოთხოვნა „კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში“ (კოდი 02 09 16) პროგრამის ფარგლებში მე-3 კვარტლის ასიგნებების 330 000 ლარით გაზრდის შესახებ. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების უმეტესი ნაწილი დასრულებულია და აღნიშნული სამუშაოების დასაფინანსელად 2018 წლის მე-3 კვარტალში დამატებით საჭიროა 330 000 ლარი. აღნიშნული თანხის დაბალანსება მოხდება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში“ (05 01 14) ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული თანხიდან.

კომისიის წევრებმა თანხმობა მისცეს წარმოდგენილ გადანაწილებებს.

მომხრე-7, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი რაიონის გამგეობები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური ითხოვენ, მათზე მიკუთვნებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალურ გადანაწილებებს, რომელთა გადანაწილებები ხორციელდება შესაბამისი პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში არსებული რესურსების ხარჯზე, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის, მე-3 პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტის და მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილების დანართის შესაბამისად.**

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე

ირაკლი ზარქუა